სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N121
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

"03 ,,მაისი'' 2022 წ.

ერთის მხრივ, **საქართველოს პროკურატურა,** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი გენერალური პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის შოთა ქარჩავას სახით და მეორეს მხრივ, **ფიზიკური პირი ნანა კუტიბაშვილი,** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ნანა კუტიბაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, საქართველოს კანონმდებლობის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ამავე კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – ხელშეკრულება) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი" _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7 „ინსპექტირება" _ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი
2.1 საჩუქრების (შემდგომში ,,საქონელი") შესყიდვა (CPV კოდი: 18500000).
2.2 შესასყიდი საქონლის დასახელება, რაოდენობა და ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დანართ N1-ში

3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1 200.00 (ერთი ათას ორასი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადები
4.1 მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა N24.
4.2 საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღეში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი
5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების შესახებ ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტი, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს საქართველოს გენერალური პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფლებამოსილი თანამშრომელი.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
6.1 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.
6.3 დაფინანსების წყარო: 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

7. მხარეთა უფლება - მოვალეობანი
7.1 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა. მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ. საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.
გ. უზრუნველყოს წუნდებული საქონლის შეცვლის ვადა არაუგვიანეს 1 სამუშაო დღე.

8. ინსპექტირება

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/ პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების დროს.
8.2 ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფლებამოსილი თანამშრომელი.
8.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.3 პუნქტის შესაბამისად გამოასწოროს წუნი.
8.4 ინსპექტირების განმახორციელებელის ფუნქციები:
ა) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
გ) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.
8.5 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულების 4.2 და 7.3 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების საერთო ღირებულების 0,02% -ის ოდენობით.
9.2 ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების საერთო ღირებულების 0,02% -ის ოდენობით.
9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5 მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს- მაჟორული მდგომარეობით.
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `"ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ქვეყანაში არსებული კრიზისით და სხვა.

13.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება.

13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს პროკურატურა	**ფიზიკური პირი ნანა კუტიბაშვილი**
მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №24	მის: ქ. თბილისი, ლვოვის ქუჩა, N33
ტელეფონი: 2 40-50-86	ტელეფონი: +995
საიდენტიფიკაციო კოდი 204398302	საიდენტიფიკაციო კოდი 01008050649
სახელმწიფო ხაზინა	სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
მიმღების ანგარიში № GE24BN0330100200165022	ა/ა № GE30TB7251145061600045
საქართველოს გენერალური პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი	ფიზიკური პირი ნანა კუტიბაშვილი
შოთა ქარჩავა	ნანა კუტიბაშვილი

The Prosecutor's Office of Georgia

Digitally signed by The Prosecutor's Office of Georgia
Date: 2022.05.04 17:17:08 +04'00'

დანართი #1

N	დასახელება	აღწერილობა	რაოდენ.	ერთ. ფასი	ჯამი
1	სასაჩუქრე სუვენირი მინიატურა თიხის ამფორა ღვინის - "ქვევრი" Miniature clay amphora for wine - "Kvevri"	დამზადებული ძველი ქართული ტექნოლოგიით 1. ტიხრული მინანქარი ვიტრაჟული, ვერცხლით; 2. თითბერის ნაკეთობა ქართული ჭედური ხელნაკეთი, კერამიკა, ნახევრადძვირფასი ამეთვისტო, მარმარილო.	1	1200	1200

სულ ჯამი: 1200 ლარი.